სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

#### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება პროცენტი.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

#### აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე სესხის გამცემისგან არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ამგვარი გადაცვლა ან მოდიფიცირება ჩაითვლება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- კომპანიამ შეცვალა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან აიღო ვალდებულება სრული ოდენობით გადაიხადოს მიღებული ფულადი ნაკადები არსებითი შეფერხების გარეშე მესამე მხარის წინაშე „ტრანზიტული“ გარიგების ფარგლებში; ასევე (ა) კომპანიამ გადასცა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; ან (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა არსებითად ყველა რისკი და სარგებელი აქტივზე, მაგრამ გადასცა მასზე კონტროლი.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულის ნაშთს ბანკში, ფულს გზაში და პროცენტთან მოკლევადიან ანაზრებს მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

#### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

#### ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წრფივი მეთოდით კატეგორიების მიხედვით:

|                                            | წლები |
|--------------------------------------------|-------|
| შენობა-ნაგებობები                          | 10-30 |
| ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა | 5-10  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                    | 5-10  |
| სატრანსპორტო საშუალებები                   | 5-10  |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა        | 5-10  |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასვლისას ან მაშინ, როდესაც მოსალოდნელი არ არის მისი გამოყენების ან გასვლისას მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (დაანგარიშდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

#### ხელფასები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

#### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

#### საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადახდები იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარდება ხარჯებში, მასთან დაკავშირებული რემონტის ხარჯები, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს კაპიტალიზდება „იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის“ ანგარიშზე და ერიცხება ცვეთა ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიხედვით.

### **3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

#### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, და კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ქართულ ლარში კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული და საანგარიშგებო თარიღში მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი), წმინდა

#### **შემოსავლის აღიარება**

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

#### **დაბეგვრა**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

#### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

#### **დივიდენდები**

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული და ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე დამტკიცებული ნებისმიერი დივიდენდი გამჟღავნდება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

#### **საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

#### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

#### შეფასებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეტა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეტა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

## შპს „აქცია-ტერრა“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ლარში)

### 5. შემოსავალი

|                           | 2024              | 2023              |
|---------------------------|-------------------|-------------------|
| მზა საკვები და დანამატები | 14,930,155        | 15,132,844        |
| მედიკამენტები             | 1,975,278         | 1,962,413         |
| ზოო პროდუქცია             | 1,974,392         | 2,363,097         |
|                           | <b>18,879,825</b> | <b>19,458,354</b> |

### 6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                           | 2024                | 2023*               |
|---------------------------|---------------------|---------------------|
| მზა საკვები და დანამატები | (8,528,638)         | (8,338,964)         |
| მედიკამენტები             | (1,385,237)         | (1,044,090)         |
| ზოო პროდუქცია             | (682,476)           | (850,838)           |
|                           | <b>(10,596,351)</b> | <b>(10,233,892)</b> |

\* გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა

2024 და 2023 წლის განმავლობაში ჩამოიწერა 8,567 და 142,266 ლარის ღირებულების დაზიანებული და ვადაგასული მარაგები წლების შესაბამისად.

### 7. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

|                                                | 2024               | 2023*              |
|------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება                             | (2,036,515)        | (1,808,463)        |
| საიჯარო ქირის ხარჯი                            | (1,204,649)        | (1,055,404)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           | (506,337)          | (416,431)          |
| ბანკის საკომისიო                               | (151,868)          | (145,482)          |
| კომუნალური ხარჯი                               | (129,884)          | (119,600)          |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები           | (98,573)           | (120,348)          |
| საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა | (72,526)           | (55,609)           |
| რემონტის ხარჯი                                 | (60,997)           | (52,476)           |
| შეფუთვის ხარჯი                                 | (45,654)           | (44,745)           |
| კომუნიკაციის ხარჯი                             | (40,718)           | (35,476)           |
| დაცვის ხარჯი                                   | (15,864)           | (16,021)           |
| სხვა                                           | (16,753)           | (11,487)           |
|                                                | <b>(4,380,338)</b> | <b>(3,881,542)</b> |

\* გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა

**შპს „აქცია-ტერრა“**

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ლარში)

**8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                       | <b>2024</b>        | <b>2023*</b>       |
|-----------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება    | (726,825)          | (742,065)          |
| საგადასახადო ხარჯები  | (84,901)           | (117,414)          |
| სამეურნეო ხარჯი       | (58,877)           | (28,553)           |
| ცვეთა და ამორტიზაცია  | (52,638)           | (51,253)           |
| საკონსულტაციო ხარჯები | (21,896)           | (21,647)           |
| კომუნალური ხარჯები    | (18,772)           | (17,134)           |
| საბანკო ხარჯები       | (13,172)           | (9,698)            |
| რემონტის ხარჯები      | (10,538)           | (1,245)            |
| კომუნიკაციის ხარჯები  | (5,725)            | (5,726)            |
| დაზღვევის ხარჯები     | (3,944)            | (3,971)            |
| სხვა                  | (39,643)           | (43,553)           |
|                       | <b>(1,036,931)</b> | <b>(1,042,259)</b> |

\* გადაანგარიშებული - დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-19 შენიშვნაში.

**9. სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა**

|                                                                              | <b>2024</b>      | <b>2023</b>   |
|------------------------------------------------------------------------------|------------------|---------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი                                      | (7,908)          | 43,176        |
| საკრედიტო დანაკარგი, წმინდა                                                  | 294              | 13,187        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                                | (352,134)        | (31,443)      |
| ძირითადი საშუალების ჩამოწერის შედეგად მიღებული ზარალი                        | (4,513)          | 54,502        |
| არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი), გაუქმებიდან მიღებული შემოსავალი | (1,979)          | (11,538)      |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                                                   | <b>(366,240)</b> | <b>67,884</b> |

შპს „აქვა-ტერა“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული<br>ღირებულება              | მიწა    | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობები | ოფისის<br>აღჭურვილობა<br>და<br>კომპიუტერული<br>ტექნიკა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარის<br>კეთილმოწყობა | სულ         |
|--------------------------------------|---------|-----------------------------|-----------------------|--------------------------------------------------------|-------------------------------|-----------------------------|------------------------|-------------|
| ნაშთი 31 დეკემბერი 2022              | 846,716 | 36,420                      | 4,396,101             | 438,165                                                | 363,577                       | 446,550                     | 451,171                | 6,978,700   |
| შესყიდვა                             | -       | 228,379                     | 1,764,075             | 34,276                                                 | 27,646                        | 146,844                     | 65,107                 | 2,266,327   |
| გასვლა                               | -       | -                           | -                     | (822)                                                  | -                             | (37,623)                    | (89,860)               | (128,305)   |
| გადატანა                             | -       | (219,541)                   | 219,541               | -                                                      | -                             | -                           | -                      | -           |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2023              | 846,716 | 45,258                      | 6,379,717             | 471,619                                                | 391,223                       | 555,771                     | 426,418                | 9,116,722   |
| შესყიდვა                             | -       | 136,636                     | 1,292,554             | 97,223                                                 | 37,822                        | 59,400                      | -                      | 1,623,635   |
| გასვლა                               | -       | -                           | (424,606)             | (5,780)                                                | -                             | (16,070)                    | -                      | (446,456)   |
| გადატანა                             | 28,301  | (127,853)                   | 92,420                | 7,132                                                  | -                             | -                           | -                      | -           |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2024              | 875,017 | 54,041                      | 7,340,085             | 570,194                                                | 429,045                       | 599,101                     | 426,418                | 10,293,901  |
| დაგროვილი ცვეთა 31<br>დეკემბერი 2022 | -       | -                           | (345,168)             | (168,359)                                              | (158,759)                     | (136,017)                   | (143,540)              | (951,843)   |
| ცვეთა                                | -       | -                           | (195,681)             | (54,833)                                               | (56,164)                      | (79,035)                    | (73,558)               | (459,271)   |
| გასვლა                               | -       | -                           | -                     | 213                                                    | -                             | 36,299                      | 37,400                 | 73,912      |
| დაგროვილი ცვეთა 31<br>დეკემბერი 2023 | -       | -                           | (540,849)             | (222,979)                                              | (214,923)                     | (178,753)                   | (179,698)              | (1,337,202) |
| ცვეთა                                | -       | -                           | (261,998)             | (68,357)                                               | (61,619)                      | (85,819)                    | (72,969)               | (550,762)   |
| გასვლა                               | -       | -                           | 75,478                | 5,780                                                  | -                             | 7,723                       | -                      | 88,981      |
| დაგროვილი ცვეთა 31<br>დეკემბერი 2024 | -       | -                           | (727,369)             | (285,556)                                              | (276,542)                     | (256,849)                   | (252,667)              | (1,798,983) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება          |         |                             |                       |                                                        |                               |                             |                        |             |
| 2023 წლის 31 დეკემბერი               | 846,716 | 45,258                      | 5,838,868             | 248,640                                                | 176,300                       | 377,018                     | 246,720                | 7,779,520   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი               | 875,017 | 54,041                      | 6,612,716             | 284,638                                                | 152,503                       | 342,252                     | 173,751                | 8,494,918   |

## შპს „აქვა-ტერა“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ლარში)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ჰქონდა ავანსი 2,254,626 და 1,330,266 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები 2,569,393 და 4,247,705 ლარის ღირებულებით, დაგირავებული იყო სს პროკრედიტ ბანკისგან მიღებული სესხების ფარგლებში (შენიშვნა 17).

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია იყენებდა განულებული საბალანსო ღირებულების მქონე ძირითად საშუალებებს რომელთა ისტორიული ღირებულება შეადგენს 68,451 ლარს და 72,311 ლარს, წლების შესაბამისად.

**შპს „აქვა-ტერა“**

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ლარში)

**11. სავაჭრო მოთხოვნები**

|                                 | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 156,614              | 133,760              |
| მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი | (46,424)             | (38,515)             |
|                                 | <b>110,190</b>       | <b>95,245</b>        |

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                    | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|--------------------|----------------------|----------------------|
| ნაშთი 1-ელ იანვარს | (38,515)             | (81,691)             |
| ზრდა               | (11,510)             | (12,980)             |
| შემცირება          | 3,601                | 56,156               |
| ნაშთი 31 დეკემბერს | <b>(46,424)</b>      | <b>(38,515)</b>      |

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

|                                   | ვადაგადაცილ<br>ებული | 1-30<br>დღე | 31-90<br>დღე | >90<br>დღეზე | სულ      |
|-----------------------------------|----------------------|-------------|--------------|--------------|----------|
| მთლიანი ღირებულება                | 56,571               | 34,536      | 39,241       | 26,266       | 156,614  |
| ანარიცხი მოსალოდნელ<br>დანაკარგზე | (811)                | (3,454)     | (15,893)     | (26,266)     | (46,424) |

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

|                                   | ვადაგადაცილ<br>ებული | 1-30<br>დღე | 31-90<br>დღე | >90<br>დღეზე | სულ      |
|-----------------------------------|----------------------|-------------|--------------|--------------|----------|
| მთლიანი ღირებულება                | 36,977               | 38,097      | 41,743       | 16,943       | 133,760  |
| ანარიცხი მოსალოდნელ<br>დანაკარგზე | (739)                | (3,810)     | (17,023)     | (16,943)     | (38,515) |

**12. მარაგები**

|                           | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------|----------------------|----------------------|
| მზა საკვები და დანამატები | 3,895,920            | 3,080,182            |
| საქონელი გზაში            | 478,586              | 911,628              |
| ზოო პროდუქცია             | 759,665              | 826,697              |
| მედიკამენტები             | 222,950              | 400,269              |
| სხვა                      | 4,287                | 2,340                |
|                           | <b>5,361,408</b>     | <b>5,221,116</b>     |

**13. ფული და ფულის ეკვივალენტები**

|                      | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|----------------------|----------------------|----------------------|
| ნაღდი ფული სალაროში  | 26,055               | 29,810               |
| ფული ბანკში          | 1,887,662            | 575,835              |
| ფული გზაში           | 64,875               | 194,462              |
| მოთხოვნამდე დეპოზიტი | 565,000              | 1,825,000            |
|                      | <b>2,543,592</b>     | <b>2,625,107</b>     |

ფული და ფულის ეკვივალენტის ჩაშლა ვალუტების მიხედვით წარდგენილია შემდეგნაირად:

|                                   | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტი ლარში   | 762,423              | 2,150,229            |
| ფული და ფულის ეკვივალენტი დოლარში | 398,153              | 14,415               |
| ფული და ფულის ეკვივალენტი ევროში  | 1,383,016            | 460,463              |
|                                   | <b>2,543,592</b>     | <b>2,625,107</b>     |

ფული გზაში სრულად წარმოდგენილია ტერმინალით რეალიზაციიდან შემოსული თანხებით, რომელიც ჯერ არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნამდე დეპოზიტზე. დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2024 წელს და 2023 წელს შეადგინა 134,469 ლარი და 27,957 ლარი წლების შესაბამისად.

**14. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება**

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ ფიზიკური პირები გიორგი მედულაშვილი 50%-იანი წილით და დავით მედულაშვილი 50%-იანი წილით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 673,684 ლარის და 563,158 ლარის ოდენობის დივიდენდები, წლების შესაბამისად.

**15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                         | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | 89,168               | 6,926                |
| სახელფასო ვალდებულებები | 46,682               | -                    |
|                         | <b>135,850</b>       | <b>6,926</b>         |

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოკლევადიანია და მათი საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

**16. საგადასახადო ვალდებულებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 546,807 ლარი (ვალდებულება) და 277,792 ლარი (ვალდებულება).

**17. მიღებული სესხები**

|                      | ვალუტა | საპროცენტო<br>განაკვეთი | დაფარვის<br>ვადა | 31<br>დეკემბერი<br>2024 | 31<br>დეკემბერი<br>2023 |
|----------------------|--------|-------------------------|------------------|-------------------------|-------------------------|
| სს „პროგრედიტ ბანკი“ | ევრო   | 4%                      | 25.02.2031       | 1,168,709               | 1,350,127               |
| სს „პროგრედიტ ბანკი“ | ევრო   | 4%                      | 15.12.2031       | 260,402                 | 297,106                 |
| სს „პროგრედიტ ბანკი“ | ევრო   | 4%                      | 12.01.2032       | 97,301                  | 110,877                 |
|                      |        |                         |                  | <b>1,526,412</b>        | <b>1,758,110</b>        |

მიღებული სესხები დაფარვის ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                      | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|----------------------|----------------------|----------------------|
| მოკლევადიანი სესხები | (218,182)            | (211,456)            |
| გრძელვადიანი სესხები | (1,308,230)          | (1,546,654)          |
| <b>სულ</b>           | <b>(1,526,412)</b>   | <b>(1,758,110)</b>   |

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 67,197 და 75,366 ლარს, წლების შესაბამისად.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                              | 2024             | 2023             |
|------------------------------|------------------|------------------|
| <b>1 იანვრისთვის</b>         | <b>1,758,110</b> | <b>1,900,196</b> |
| <b>ფულადი ოპერაციები:</b>    |                  |                  |
| სესხის აღება                 | 1,319,905        | -                |
| ძირის გადახდა                | (1,530,771)      | (193,309)        |
| პროცენტის გადახდა            | (67,551)         | (72,143)         |
| <b>არაფულადი ოპერაციები:</b> |                  |                  |
| გადაფასების ეფექტი           | (20,832)         | 51,223           |
| საპროცენტო ხარჯები           | 67,551           | 72,143           |
| <b>31 დეკემბერი</b>          | <b>1,526,412</b> | <b>1,758,110</b> |

კომპანიას ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური და არა-ფინანსური შეზღუდვები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ არღვევდა მიღებულ სესხებზე დაწესებულ არც ერთ ფინანსურ და არა-ფინანსურ შეზღუდვას.

#### 18. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის გაკეთდა წინა პერიოდის შემდეგი რეკლასიფიკაციები - ტერმინალების საკომისიო, კომუნალური, კომუნიკაციის, დაცვის, რემონტის, ქონების, კომერციულ საქმიანობაში ჩართული თანამშრომლების ხელფასებისა და სოციალური დანარიცხების ხარჯი კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით მიწოდებისა და მომსახურების მუხლის შემადგენელი ნაწილია:

| სხვა სრული შემოსავლის<br>ანგარიშგება   | 31 დეკემბერი 2023<br>(რეკლასიფიკაციამდე) | რეკლასიფიკაცია | 31 დეკემბერი 2023<br>(რეკლასიფიცირებული) |
|----------------------------------------|------------------------------------------|----------------|------------------------------------------|
| ზოგადი და ადმინისტრაციული<br>ხარჯები   | (1,595,261)                              | 553,002        | (1,042,259)                              |
| მიწოდებისა და მომსახურების<br>ხარჯები  | (3,354,850)                              | (526,692)      | (3,881,542)                              |
| რეალიზებული საქონლის<br>თვითღირებულება | (10,207,582)                             | (26,310)       | (10,233,892)                             |

#### 19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლების განმავლობაში უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 150,000 ლარი და 168,500 ლარი, წლების შესაბამისად.

#### 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით კომპანიამ მფლობელებზე გამოაცხადა დივიდენდი 484,211 ლარის ოდენობით.

2025 წლის ივნისში კომპანიამ შეიძინა კომერციული ფართი, სადაც წლის ბოლომდე გეგმავს ახალი ფილიალის გახსნას.

#### 21. პირობითი ვალდებულებები

##### სასამართლო დავები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

##### საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

##### დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები.

**21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები.

საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

**დივიდენდების განაწილება**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 2,524,560 ლარი.

**თავდებობა**

კომპანია არის დაკავშირებული მხარის მიერ სს „პროგრედიტ ბანკისგან“ მიღებული სესხების თავდები. სესხების ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,025,752 ევროს, ხოლო დაფარვის ვადაა 2031 წლის თებერვალი და 2032 წლის აგვისტო. თუ დაკავშირებული მხარე ვერ გადაიხდის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებს, სესხის მომსახურება მოუწევს შპს „აქვა-ტერას“. ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეს არ უფიქსირდება ზემოთ ჩამოთვლილ სესხებზე ვადაგადაცილება.

მენეჯმენტის შეფასებით, დაკავშირებული მხარის გადახდების ისტორიის და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული თავდებობის ფარგლებში შპს „აქვა-ტერას“ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა დაბალია.

## შპს აქვა-ტერა

მმართველობითი ანგარიშგება და

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

## ჩვენს შესახებ

შპს აქვა-ტერა („კომპანია“) დაარსდა 2002 წლის 25 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ ფიზიკური პირი გიორგი მედულაშვილი 50%-იანი წილით და დავით მედულაშვილი 50%-იანი წილით.

**იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა.** კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქ.29-29ა, კომერციული ფართი #1, სართული 1.

**დასაქმებულთა რაოდენობა.** 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 103 და 98 თანამშრომელი, შესაბამისად.

## საქმიანობის მიმოხილვა

შპს აქვა-ტერა წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ ზოომდაზიების ქსელს ქართულ ბაზარზე. იგი ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს 2002 წლიდან. საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ვეტერინარული პროდუქციის (ცხოველებისა და ფრინველების საკვები, მედიკამენტები, აქსესუარები და სხვა) იმპორტი და რეალიზაცია. კომპანია ფლობს 37 მაღაზიას ქ. თბილისში, რუსთაველი 1 და ბათუმში 2 სავაჭრო ობიექტს, ასევე ვეტერინარულ კლინიკას თბილისში, სათაო ოფისს თბილისში.

დაარსების დღიდან კომპანია ექსკლუზიურად ახდენს უახლესი ევროპული სტანდარტის ვეტერინარული პროდუქციის იმპორტსა და რეალიზაციას. კომპანიამ სწრაფად მოიპოვა უპირატესობა ბაზარზე მაღალი ხარისხით. შპს აქვა-ტერა არის არაერთი წამყვანი საერთაშორისო კომპანიის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. მათ რიგებს განეკუთვნება: ROYAL CANIN SA AV DE LA PETITE CAMARGUE BP (საფრანგეთი), DIAMOND PET FOODS (აშშ), MISPOL (პოლონეთი), AGROMARKET (ბულგარეთი), GHEDA MANGIMI (იტალია), MCL BENTONIT MAD (თურქეთი), PIENSOS ORTIN S.A CARRETERA DE SANTOMERA (ესპანეთი), TRIxie GMBH & CO.KG (გერმანია) და სხვა. შესაბამისად კომპანიის სარეალიზაციო პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და საიმედოობით.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია იყოს უპირატესი და სანდო დამსაქმებელი კომპანია საქართველოს ბაზარზე, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში. რის მისაღწევადაც, ჩვენ ვმუშაობთ საკუთარ თავზე და მუდმივად ვფიქრობთ პროფესიულ განვითარებაზე, რათა სწორი ადამიანები შეირჩეს სწორ პოზიციაზე.

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შესაბამისი კადრის მოძიებაზე და აყვანაზე, რა დროსაც მნიშვნელოვანია კომპანიის ძირითადი ღირებულებებთან თანხვედრა, როგორცაა:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- მოქნილობა
- სწორი კომუნიკაციის უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი
- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

კომპანიაში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ პროფესიულად და პოზიციურად. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

### საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მაღაზიებს მართავენ მენეჯერები, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, როგორცაა საკადრო განყოფილების უფროსი, კომერციული მართვის ხელმძღვანელი და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი.

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

### კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

სულ ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლისთვის იყო 103. აქედან ოფისის პერსონალი და ლოჯისტიკა 37, ხოლო კლიენტებთან ურთიერთობაში ჩართულია 65 თანამშრომელი.

| ცხრილი #1               | თანამშრომელთა რაოდენობა |
|-------------------------|-------------------------|
| უმაღლესი ხელმძღვანელობა | 1                       |
| სულ თანამშრომლები       | 102                     |

ხელმძღვანელობა მომავალში გეგმავს იზრუნოს კადრების კვალიფიკაციაზე და ამ მხრივ გამოყოს ადამიანური და ფინანსური რესურსი.

### გარემოს დაცვის საკითხები

გარემოს დაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

### სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის კომპანია არ ფლობს არც საკუთარ და არც სხვა კომპანიის აქციებს.

### ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიამ მიიღო 18,879,825 ლარის შემოსავალი, რაც 578,529 ლარით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე (19,458,354 ლარი). შემოსავლების უმნიშვნელო კლება მიუთითებს ბაზრის დროებით რყევებზე, რაც კომპანიას აძლევს შესაძლებლობას ოპტიმიზაცია გააკეთოს და მომავალში უფრო მაღალი ზრდა უზრუნველყოს.

2024 წელს მარჯა კვლავ მაღალია, რაც ასახავს პროდუქციის/სერვისის კონკურენტუნარიან ფასებს და სტაბილურ ოპერაციულ ეფექტიანობას. საოპერაციო მოგების შემცირება დაკავშირებულია განვითარებისთვის და ზრდისთვის გაწეულ ხარჯებთან, რაც დროებითი ნაბიჯია ბაზარზე პოზიციონირების გამყარების და გაფართოებისთვის. მიუხედავად შემცირებისა, კომპანიას კვლავ აქვს ორნიშნა წმინდა მოგების მარჯა, რაც ინვესტორებისთვის მაღალი სტაბილურობის ნიშანია.

ლიკვიდობის კოეფიციენტი კი არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, თუმცა მაინც მაღალი მაჩვენებელია რაც ადასტურებს, რომ კომპანიას შეუძლია ვალდებულებების დაფარვა სწრაფად რეალიზებადი აქტივებითაც კი, რაც ინვესტორებისთვის უსაფრთხოების გარანტიაა.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

| მომგებიანობის კოეფიციენტები | 2024 | 2023 |
|-----------------------------|------|------|
| სარეალიზაციო მოგების მარჟა  | 44%  | 47%  |
| საოპერაციო მოგების მარჟა    | 13%  | 22%  |
| წმინდა მოგების მარჟა        | 13%  | 21%  |
| უკუგება კაპიტალზე           | 15%  | 28%  |
| უკუგება აქტივებზე           | 13%  | 24%  |

| ლიკვიდურობის კოეფიციენტები          | 2024 | 2023 |
|-------------------------------------|------|------|
| მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი | 9.2  | 16.0 |
| სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი       | 3.2  | 5.5  |

სამომავლო გეგმები

კომპანია არის დინამიურად განვითარებადი. 2024 წელს კომპანიამ 2 ახალი სავაჭრო ობიექტი გახსნა. მომდევნო წლებში იგეგმება ახალი მაღაზიების გახსნა. განახლებული საცალო გაყიდვის ობიექტების შეთავაზებით გავზრდით მომხმარებლების კმაყოფილებასა და ლოიალურობას.

ვეგემავთ სტრატეგიული მარკეტინგის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. რისთვისაც აქტიურად ვეცნობით სიახლეებს საერთაშორისო გამოფენებზე და მწარმოებლებთან.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ საქმიანობა ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის საჭიროა მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვახორციელოთ ისინი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონერებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორცილდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით.

**ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი.** საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

|                            | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 110,190           | 95,245            |
| ფული და ფულის ექვივალენტი  | 2,543,592         | 2,625,107         |
| <b>სულ საკრედიტო რისკი</b> | <b>2,653,782</b>  | <b>2,720,354</b>  |

**საბაზრო რისკი.** კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკ დამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

|                                   | 31 დეკემბერი 2024 |                       | 31 დეკემბერი 2023     |                       |
|-----------------------------------|-------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
|                                   | USD 1 = 2.8068    | EUR 1 = 2.9306<br>GEL | USD 1 =<br>2.6894 GEL | EUR 1 =<br>2.9753 GEL |
| <b>ფინანსური აქტივები</b>         |                   |                       |                       |                       |
| ფული და ფულის<br>ექვივალენტები    | 398,153           | 1,383,016             | 14,415                | 460,463               |
| <b>სულ ფინანსური<br/>აქტივები</b> | <b>398,153</b>    | <b>1,383,016</b>      | <b>14,415</b>         | <b>460,463</b>        |

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

|                    |         |           |        |             |
|--------------------|---------|-----------|--------|-------------|
| ფინანსური          |         |           |        |             |
| ვალდებულებები      |         |           |        |             |
| მიღებული სესხები   | -       | 1,526,412 | -      | 1,758,110   |
| სულ ფინანსური      |         |           |        |             |
| ვალდებულებები      | -       | 1,526,412 | -      | 1,758,110   |
| სულ წმინდა პოზიცია | 398,153 | (143,396) | 14,415 | (1,297,647) |

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2024 წლის 31 დეკემბერს:

| მოგება/(ზარალი) | USD ზეგავლენა |          | EUR ზეგავლენა |         |
|-----------------|---------------|----------|---------------|---------|
|                 | USD/GEL       | USD/GEL  | EUR/GEL       | EUR/GEL |
|                 | + 20%         | - 20%    | + 20%         | - 20%   |
|                 | 79,631        | (79,631) | (28,679)      | 28,679  |

2023 წლის 31 დეკემბერს:

| მოგება/(ზარალი) | USD ზეგავლენა |         | EUR ზეგავლენა |         |
|-----------------|---------------|---------|---------------|---------|
|                 | USD/GEL       | USD/GEL | EUR/GEL       | EUR/GEL |
|                 | + 20%         | - 20%   | + 20%         | - 20%   |
|                 | 2,883         | (2,883) | (259,530)     | 259,530 |

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაში.

**კაპიტალის რისკი.** კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

|                             | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------------|----------------------|----------------------|
| სულ სესხები                 | 1,526,411            | 1,758,110            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | (2,543,592)          | (2,625,107)          |
| <b>წმინდა სესხები</b>       | <b>(1,017,181)</b>   | <b>(866,997)</b>     |
| <br>                        |                      |                      |
| <b>სულ კაპიტალი</b>         | <b>16,830,398</b>    | <b>15,055,716</b>    |

2024 და 2023 წლებში კომპანიის წმინდა ვალი იყო უარყოფითი, აღნიშნული მიუთითებს ფულადი სახსრების სიჭარბეზე სესხებთან შედარებით რაც ასახავს კომპანიის მაღალ ლიკვიდობასა და დაბალ ფინანსურ რისკს.

**საპროცენტო რისკი.** კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

## შპს „აქვა-ტერა“

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

(ლარში)

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

## 2024 წლის 31 დეკემბერი:

|                                                                                 | 6 თვემდე         | 6-დან 12<br>თვემდე | 1 წელზე<br>მეტი   | სულ              |
|---------------------------------------------------------------------------------|------------------|--------------------|-------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                 |                  |                    |                   |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                     | 2,543,592        | -                  | -                 | 2,543,592        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                      | 110,190          | -                  | -                 | 110,190          |
| <b>სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები</b> | <b>2,653,782</b> | <b>0</b>           | <b>0</b>          | <b>2,653,782</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                            |                  |                    |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                                   | 135,850          | -                  | -                 | 135,850          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                      | 546,807          | -                  | -                 | 546,807          |
| მიღებული სესხები                                                                | 137,629          | 137,629            | 1,456,026         | 1,731,284        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები</b>      | <b>820,287</b>   | <b>137,629</b>     | <b>1,456,026</b>  | <b>2,413,942</b> |
| <b>ლიკვიდობის დეფიციტი</b>                                                      | <b>1,833,495</b> | <b>-137,629</b>    | <b>-1,456,026</b> | <b>239,840</b>   |
| <b>ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი</b>                                               | <b>1,833,495</b> | <b>1,695,866</b>   | <b>239,840</b>    |                  |

## 2023 წლის 31 დეკემბერი:

|                                                                                 | 6 თვემდე         | 6-დან 12<br>თვემდე | 1 წელზე მეტი | სულ              |
|---------------------------------------------------------------------------------|------------------|--------------------|--------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                 |                  |                    |              |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                     | 2,625,107        | -                  | -            | 2,625,107        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                      | 95,245           | -                  | -            | 95,245           |
| <b>სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები</b> | <b>2,720,352</b> | <b>0</b>           | <b>0</b>     | <b>2,720,352</b> |

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

|                                                                            |                  |                  |                   |                  |
|----------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|-------------------|------------------|
| <b>ვალდებულებები</b>                                                       |                  |                  |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                              | 6,926            | -                | -                 | 6,926            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                 | 277,792          |                  | -                 | 277,792          |
| მიღებული სესხები                                                           | 136,135          | 136,135          | 1,728,290         | 2,000,561        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები</b> | <b>420,853</b>   | <b>136,135</b>   | <b>1,728,290</b>  | <b>2,285,279</b> |
| <b>ლიკვიდობის დეფიციტი</b>                                                 | <b>2,299,499</b> | <b>-136,135</b>  | <b>-1,728,290</b> | <b>435,073</b>   |
| <b>ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი</b>                                          | <b>2,299,499</b> | <b>2,163,364</b> | <b>435,073</b>    |                  |

**საოპერაციო რისკი.** განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგები წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი მედულაშვილი

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

## ვალდებულებები

|                                                                     |           |           |            |           |
|---------------------------------------------------------------------|-----------|-----------|------------|-----------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                       | 6,926     | -         | -          | 6,926     |
| საგადასახადო ვალდებულებები                                          | 277,792   |           | -          | 277,792   |
| მიღებული სესხები                                                    | 136,135   | 136,135   | 1,728,290  | 2,000,561 |
| სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები | 420,853   | 136,135   | 1,728,290  | 2,285,279 |
| ლიკვიდობის დეფიციტი                                                 | 2,299,499 | -136,135  | -1,728,290 | 435,073   |
| ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი                                          | 2,299,499 | 2,163,364 | 435,073    |           |

საოპერაციო რისკი. განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგები წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:



დირექტორი

გიორგი მედულაშვილი